# ქართული აზრი

> „ყოველგვარი სიძულვილის გარეშე, ყველასადმი სიყვარულით, სიმართლის ღრმა რწმენით, რამდენათაც ამის დანახვის შესაძლებლობას ღმერთი გვაძლევს, ვეცდებით მივიყვანოთ ჩვენი საქმე ბოლომდე“.
>
> აბრამ ლინკოლნი. 1865 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 64 ნიუ-იორკი, აპრილი 1964 წ. GEORGIAN OPINION NEW JORK, APRIL 1964

**ნიუ-იორკი, აპრილი 1964 წ.**

თითქმის ნახევარი საუკუნე გავიდა, რაც რუსეთმა სოციალიზმის და კომუნიზმის მშენებლობა დაიწყო. ამ ახალ სოციალ-ეკონომიურ სისტემის დაშენებას, იმდენივე მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, რამდენი წლის ისტორიაც მას აქვს.

ამ ხნის განმავლობაში ბევრჯერ „დაეწია“ რუსეთი კაპიტალისტური ქვეყნების წარმოებას და ბევრ დარგში კიდეც „გადაასწრო“. დასავლეთელი მეთვალყურეები და სპეციალისტები, ისეთებიც კი, რომლებიც ყველაზე სკეპტიკურად უყურებდნენ რუსულ ბაქი-ბუქს, დარწმუნებულნი იყვნენ, რომ თუ რუსეთმა არ გადაასწრო დასავლეთს, პროგრესი მაინც დიდია და წამოწევისგან შორს აღარ არისო. ხოლო ახლად წარმოშობილ, ეროვნულად, კულტურულად და ეკონომიურად ჩამორჩენილ ქვეყნებისათვის, რუსეთის სახელმწიფო დაგეგმის პოლიტიკა მისაბაძ მაგალითად გახდა და ეკონომიური სწრაფი აღორძინების წინასწარ პირობად იქცა.

აფრო-აზიურ უტრადიციო ქვეყნებს რა გაუმტყუნოთ, როცა თვით დასავლეთელი „სპეციალისტები“ განცვიფრებაში მოიყვანა ხრუშჩოვის განცხადებამ, რომ „უამინდობისა“ და „მიზეზისა სხვათა და სხვათა“ რუსეთს მოელის განუკითხავი სიღატაკე და შიმშილი, თუ მას დასავლეთი არ მიეშველა და ამ გაჭირვებიდან არ გამოიყვანაო.

ხრუშჩოვის უნგრეთში მოგზაურობა და იქ წარმოთქმული სიტყვები აშკარა ღაღადებაა, სახელმწიფო დაგეგმის, ე. ი. მარქს-ლენინური ეკონომიური პოლიტიკის საბოლოო დამარცხების, ხოლო თვით ხრუშჩოვი ამ პოლიტიკის ლიკვიდატორია.

საკმარისია ხრუშჩოვს დავაკვირდეთ არა ტრაბახს და პროპაგანდისტს, არამედ თავის გაჭირვებაზე მოლაპარაკეს, რომ ეს ნათელი გახდეს. მართალია მისი ენა, კილო, ტონი. გამოთქმები და მანერები სრულებითაც არ ეგუება დიდ სახელმწიფო მოღვაწეს და ჩვენს წინ ისახება პარტიულ ინტრიგებში დახელოვნებული უკულტურო თავხედი, მაგრამ, სწორედ ამგვარ თავხედს შეეძლო რუსეთში „რევოლუციის ლიკვიდატორის“ როლში გამოსვლა და ამგვარი მოუხეშავი აკმაყოფილებს რუსის მასების ეროვნულ-შოვინისტურ მისწრაფებას.

პეკინ-მოსკოვის ურთიერთობის გამწვავება არ არის მხოლოდ ორ სახელმწიფოს შორის ძალა-უფლების საკითხი. მართალია ამაში ჭარბად არის გამოვლინებული ეროვნული მომენტი და პეკინმა თავი გაინთავისუფლა მოსკოვის ჰეგემონიისაგან, მაგრამ აქ მართლაც არის ნაწილობრივ მაინც, იდეოლოგიური საკითხი. ჩინელი კომუნისტები აზიური ფანატიზმით მიჰყვებიან მარქს-ლენინის დებულებებს და ჯერ კიდევ არა სჯერათ მისი საბოლოო დამარცხება. ამას, შეიძლება, ის გარემოებაც უწყობს ხელს, რომ ჩინელი ხალხის დამშევას მხოლოდ ერთი ათეული წლის ისტორია აქვს, როდესაც რუსეთი მეხუთე ათეულში გადავიდა. მათს ჯერ კიდევა სჯერა ისტორიის მობრუნების შესაძლებლობა, რუსეთი კი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ცხოვრება ისტორიულ-ტრადიციული გზით ვითარდება და მარქს-ლენინის მიერ მოხაზულ ბილიკებს არ გაჰყვა.

ხრუშჩოვი მდაბიური, უკულტურო ენით, მაგრამ ძალიან გარკვეულად და ნათლად აღნიშნავს კოლექტიური მეურნეობის დამარცხებას, ვიდრე ეს შეეძლო აესახა დასავლეთელ ღრმა მოაზროვნეს და სპეციალისტს. ამ შემთხვევაში გამოცდილებამ ზეაუსწრო კულტურასა და განათლებას. „ცხოვრების გაუმჯობესებაა ერთად-ერთი მიზანი, რომლისთვისაც ღირს ბრძოლა და თავგანწირვა“-ო, გადმოგვძახა ნიკიტამ აპრილის 1-ს ბუდაპეშტიდან. „თუ ჩვენ არ შეგვიძლიან აღუთქვათ ხალხს უკეთესი რამ, ვიდრე რევოლუციაა, მაშინ ხალხი გვეტყვის, რომ მას ურჩევია გულაში„-ო და უმატებს: „რევოლუციას ცარიელი მუცლით არ აკეთებენ“-ო. კომუნისტური სამყაროს მეთაურისაგან ამ სიტყვების ამოძახება აღსარებაა კოლექტიური მეურნეობის გაკოტრების და ამავე დროს დაგმობაა იმ სოციალ-ეკონომიური პოლიტიკის, რომელიც ხალხს აიძულებს „ცარიელი მუცლით აკეთონ რევოლუციები“. რომელ ანტიკომუნისტ შეეძლო ასე მკვეთრად დაესაბუთებინა დაგეგმილი პოლიტიკის დამარცხება, კომუნისტურ უნგრეთში, როგორაც ხრუშჩოვმა დაასაბუთა აპრილის 4-ს მისკოლკში: თუ ჩვენ ხალხს შესაძლებლობა ექნება უკეთესი გამოკვების, თუ ავამაღლებთ მისი ცხოვრების დონეს და დავაკმაყოფილებთ მის მოთხოვნილებას, ეს იქნება დასაწყისი, რომ მათაც იცხოვრონ, როგორც ცხოვრობენ. ადამიანები“. ოქტომბრის რევოლუციის მეხუთე ათეულში, ლენინისა და სტალინის მემკვიდრე, მთელი საბჭოეთის მეთაურმა ხრუშჩოვმა აღიარა, რომ საბჭოთა მოქალაქეს ჯერ კიდევ ბევრი აკლია, რათა მანაც ადამიანურათ იცხოვროს, რომ „რუსის ხალხმა ჩაიცვას უკეთესად, ჰქონდეს ფეხსაცმელი, ჰქონდეს საცხოვრებელი ბინა“-ო. ხრუშჩოვმა დაივიწყა კლასთა ბრძოლის და პროლეტარული თეორიები, დაივიწყა, რომ საბჭოთა კავშირი რუსეთი არ არის, დაივიწყა, რომ ის „ძმურ რესპუბლიკების“ მეთაურია და ლაპარაკობს რუსის ხალხის სახელით, რუსის ხალხის „უკეთეს ჩაცმა-დახურვაზე“. ოქტომბრის რევოლუციის ნანგრევებზე ნიკიტამ გადაჭიმა რუსული იმპერია, რაც დღევანდლამდე “უფროსი ძმის, ძმურ დახმარების ფრაზეოლოგიაში“ იყო ჩაქსოვილი.

იმავე მისკოლკში ხრუშჩოვი აცხადებს: „ჩინელების თავდასხმები მაკვირვებს. ბრალსა მდებენ ბურჟუაზიულობაში, რადგან გამდიდრება გვსურს. თუ ეს არის ბრალდება, ვამაყობ, რომ მაქვს ბურჟუაზიული მისწრაფება“-ო

ხრუშჩოვი ისე გაიტაცა „გულაშმა“, რომ აპრილის 1-ს ერთ ქარხანაში წარმოთქმულ სიტყვაში დასავლეთური კაპიტალიზმიც კი შეაქო: „კაპიტალისტური ქვეყნები მრავალ რამეს აკეთებენ კარგს და ლამაზს, სისულელე იქნება არ ვისწავლოთ იმათგან“-ო. „მე დიდი სიამოვნება განვიცადე კაპიტალისტურ ქვეყნებში მოგზაურობის დროს, შემდეგ ვიმოგზაურე რუსეთში და ნახული შევადარე ერთი-მეორეს. ვნახე როგორ არის ჩაცმული ჩვენი ხალხი, როგორ არის მოწყობილი ჩვენი ქალაქები. თუ ჩვენ ამას ყურადღებას არ მივაქცევთ დასავლეთელები იტყვიან: რუსები აგრძელებენ დახეული შარვალით სიარულს, როგორც მეფის დროს იყო. მსოფლიო პროლეტარიატი კი იტყვის: ბურჟუაზიის ქვეშ შარვალით დავიარები, ხოლო თუ რევოლუციას მოვახდენ, რუსებივით უშარვალოდ უნდა ვიაროო. მე ვხუმრობ, მაგრამ ეს ხუმრობა შორს არ არის სინამდვილისგან“-ო. სინამდვილის ამ „ოხუნჯური“ ასახვით ნიკიტამ სამუდამოთ დაასამარა კომუნიზმი. პოლონელების დელეგაციის ბანკეტზე, აპრილის 15-ს, ნიკიტამ უფრო გარკვეულად უპასუხა ჩინურ ფანატიზმს: “ჩინელების აზრით უნდა გავაძლიეროთ ჩვენი ინდუსტრია, უნდა მოვიჭიროთ ქამარი, გავზარდოთ წარმოება და ასე გავწიოთ წინ. წინ, წინ მაგრამ სად“-ო, კითხულობს ნიკიტა და თვითვე უპასუხებს: „საფლავში?“

ამით ყველაფერია თქმული. ხრუშჩოვი არ ერიდება საბჭოთა რეჟიმის მიერ, არც შორეულ და არც ახლო წარსულში ჩადენილ „შეცდომების“ გამომჟღავნებას. ის საბოლოოდ ჰგმობს კომუნალურ მეურნეობას და აცხადებს: „კომუნა ჩვენთვის ახალი არ არის. ჩვენ ესა ვცადეთ რევოლუციის პერიოდში და ვიცნობთ მის ნეგატიურ შედეგებს. 30-ან წლებში, საერთო კოლექტივიზაციის დროს, სტალინმა გამოაქვეყნა წერილი: მიღწევებისგან თავბრუხვევის წინააღმდეგ“. სინამდვილეში თავბრუხვევა გამოწვეული იყო არა მიღწევებისგან, არამედ შიმშილისაგან“-ო. ჩვენ მხოლოდ შეგვიძლიან დაუმატოთ, რომ ხრუშჩოვსაც ბევრჯერ ჰქონდა „თავბრუხვევა“. თვითონაც ამტკიცებდა, რომ ეს მიღწევებისგან არის, ხოლო ვასულ შემოდგომაზე გამოირკვა შიმშილისაგან ყოფილა...

აპრილის 8-ს, უნგრელების ერთი ქარხნის მუშების წინაშე ხრუშჩოვმა განაცხადა: „გვაკრიტიკებენ... ამბობენ: „თქვენი სურვილი მხოლოდ ის არის, რომ მდიდრათ იცხოვროთ. რასაკვირველია, იმისთვის ხომ არ ვიბრძოლეთ, რომ ხელისუფლების აღების შემდეგ უარესად ვიცხოვროთ. თუ ჩვენი პროლეტარული სისტემა ნაკლებს მისცემს ადამიანს, ვიდრე კაპიტალისტური, მაშ რა მიზეზით უნდა ვისურვოთ უარესი?“-ო.

ხრუშჩოვმა ნიღაბი ჩამოიხსნა... მან აღიარა არა მარტო კოლექტიური მეურნეობის დამარცხება, არამედ, საზოგადოთ, „სოციალისტური რევოლუციის“ უარაქათობა. მან აღიარა მარქს-ლენინის დებულებების უაზრობა, რომელმაც ხალხი გაალატაკა და ვერ შექმნა სოციალური სამართლიანობა.

თუ ხანდისხან მაინცა ხმარობს „პროლეტარი“, „მუშათა კლასი“, „კლასთა ბრძოლა“ და სხ. ეს უფრო იმიტომ, რომ თანმიმდევრები, განსაკუთრებით უცხოეთის კომუნისტური პარტიები, შემოინახოს დრომდე და ვადამდე.

ძნელია თქმა, თუ რამდენ ხანს გაგრძელდება რუსეთში კომუნიზმის ფორმალური ლიკვიდაციის პერიოდი, მაგრამ მისი ლიკვიდატორი ხრუშჩოვი „კაპიტალისტურ“ ქვეყნებს უკვე ნიღაბ ახდილი წარუდგა და მათ შემწეობას სთხოვს. ეჭვი არ არის თვინიერი დასავლეთი ტყავიდან გაძვრება და მას დახმარებას არ მოაკლებს და ეს მოხდება „მშვიდობიანობის“ დასამყარებლად და „კომუნისტული იმპერიალიზმის“ დასამარცხებლად. ამგვარად, სულ მცირე ხანში, დასავლეთს ხელში შერჩება საკუთარი სალსრებით გამაგრებული, მშფოთვარე და მოუსვენარი, მრისხანე და აგრესიული რუსული იმპერიალიზმი.

ახლო მომავალი დაგვანახვებს, თუ რამდენ ხანს აიტანს დასავლეთი ნავთისა და ცაცხლის „თანაარსებობას“ და შეთანხმებულ ცხოვრებას.

ჩვენი ერიც ახალი პრობლემის წინაშე დგება.... რუსული აგრესიული იმპერიალიზმის წინაშე... აქედან უკვე გამოირიცხება „მორიდებული“ „უფროსი ძმის დახმარების“ საკითხი და მოისპობა ის ფიქტიური ავტონომიური უფლებებიც, რომელსაც, თითქოს, „კონსტიტუცია“ მას ანიჭებდა. ქართველ ერს დასჭირდება თავის შემონახვის ახალი ტაქტიკა, რომელის მაგალითებსაც მრავლად იპოვის ჩვენი სახელოვანი ისტორიის გასწვრივ.

**ორიანი.**

## დაგეგმილი მეურნეობის კრიზისი.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ხრუშჩოვის მეოხებით ამ ათი წლის განმავლობაში სამეურნეო მართველობის განუწყვეტელი რეფორმები სწარმოებს. ვერც პარტიის, ვერც მთავრობის მეთაურობა და ვერც სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელობა თავს ვერ ართმევს რეფორმებიდან შექმნილ არეულ-დარეულ მდგომარეობას. ჯერ კიდევ დაწყებული არ არის ახალ რეფორმების საფუძველზე სამეურნეო ცხოვრების გარდაქმნა, რომ უკვე იწყება რეფორმის რეფორმა, ან სრულიად ახალ საწყისზე კონტრ-რეფორმის გეგმის ხელახალი დამუშავება. რეფორმების ეს კორიანტელი ისე ჩქარის ტემპით მიმდინარეობს, რომ ყველას უძნელდება საქმის ვითარებაში გარკვევა და სწორი ორიენტაციის აღება. დავიწყოთ თუ გნებავთ 1956 წლის მთავრობის დადგენილებით, როცა დაარსდა დიდი უფლებებით აღჭურვილი ეკონომიური კომისია, პერვუხინის თავმჯდომარეობით. მასზე დიდ იმედებს ამყარებდნენ და უცბად, სამი თვის შემდეგ, ეს კომისია მისი თავმჯდომარითურთ, სადღაც გაქრა. ამავ დროს ხრუშჩოვმა ცენტრალურ კომიტეტს დაამტკიცებინა სამრეწველო გამგებლობის დეცენტრალიზაციის სრულიად ახალი გეგმა, სამეურნეო საბჭოების შექმნით. დიდ ხანს არც ეს დეცენტრალიზაცია გაგრძელებულა და უკანასკნელ წლებში, მეურნეობის საწყისებზე დაბრუნება მაინც უძნელდებათ, კოლმეურნეთა უმრავლესობას თუ არა, პარტიის ხელმძღვანელებს მაინც. თუმცა ამ ბოლო დროს, ხრუშჩოვი ცდილობს, თანდათან კაპიტალისტურ სისტემის შემოღებას, ან მარტივად, სახალხო მეურნეობაში კაპიტალისტური პრინციპების დანერგვას. მაგ., როგორიც არის კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესება, პროდუქციის მიხედვით შრომის ანაზღაურება და სხ,

სოციალიზმის თეორეტიკოსები ყოველთვის ფიქრობდნენ, რომ მეურნეობის წინასწარი დაგეგმით, ისინი თავიდან აიცდენდნენ ეკონომიურ კრიზის. უხვი სამრეწველო პროდუქციის შექმნით საფუძველს ჩაუყრიდნენ ჯერ სოციალიზმის და შემდეგ კომუნიზმის დაუპრკოლებელ მშენებლობას. პრაქტიკაში ეს „მეცნიერული თეორიები“ არ გამართლდა. ცხადია, საბჭოთა ეკონომიკის სიძნელეები, კრიზისები, იმ კატეგორიის არ არიან, რომელთაც ლიბერალური ეკონომიკა ეკუთვნის. კაპიტალიზმის კრიზისი, უმთავრესად, ზეპროდუქციის, საქონლის სიუხვის, გაუსაღებლობის კრიზისია, მაშინ, როდესაც საბჭოთა მეურნეობაში უხარისხო, ნაკლებ წარმოების, საქონლის უკმარობის, მომხმარებელთა დაუკმაყოფილების კრიზისია. კაპიტალისტურ და სოციალისტურ მეურნეობაში, არც მწარმოებელ ძალების სრული გამოყენების პრობლემაა ერთნაირი, არც ზეპროდუქციის საკითხია იდენტიური.

ასე თუ ისე, ეხლა ვერავინ უარყოფს, რომ საბჭოთა მეურნეობა, განსაკუთრებით, კოლექტიური სასოფლო მეურნეობა, დიდ კრიზის განიცდის და ეს ეკონომიური სიძნელეები ისე სერიოზულია, რომ პარტია და მთავრობა იძულებულია ყოვლგვარ საშუალებას მიმართოს კრიზისის დასაძლევად (თვით ხორბლეულობა და სხვა ნაწარმი უცხოეთში შეიძინოს). მთავრობის ღონისძიება, თერაპიული მკურნალობა, უფრო ეხება აშკარა, თვალსაჩინო კრიზისების შედეგებს და არა მის გამომწვევ მიზეზებს. საერთოდ საბჭოთა კავშირში, მთავრობის და პარტიის ხელმძღვანელობა გაურბის მავნე მიზეზების გამონახვას და მის წამლობას, რადგან კრიზისის მთავარი მიზეზი თვით მათ მიერ შექმნილ სისტემაში მარხია. ნამდვილ მიზეზთა გამხელა და მისი მოსპობა, მათ სოციალისტურ სისტემის ლიკვიდაციას უდრის. გაბედავენ კი ამ მიზეზთა აშკარად შეხებას და მის აღმოფხვრას? ეს ნაკლებ სარწმუნოა.

მართალია სოციალისტური სისტემა, განვითარების პირველ ფაზისში, ერთგვარ მოჩვენებით წარმატებას აღწევს, მაგრამ შემდეგ სტადიაში ზანტად მიიწევს, უძნელდება თავის დროზე აითვისოს ტექნიკის სწრაფი განვითარება და მისგან გამოწვეული ცვლილებათა შეგუება. ახლა საბჭოთა ექსპერტები თანდათან ხვდებიან, რომ საჭიროა უფრო ფართო მხედველობის გამოჩენა, როგორც საერთო გეგმის შედგენის დროს, ისე თვითეულ საწარმოში ამ გეგმის შესრულების დროს. ხოლო რაოდენობიდან თვისობრივობაზე გადასვლა მოითხოვს არა მარტო ადმინისტრატიულ რეფორმას, არამედ ზოგ ცნობების გადასინჯვასაც, იმ შეხედულების რევიზიას, რომელიც ერთხელ და სამუდამოთ დადგენილად სჩანდა.

ამას წინად ზოგიერთი დიდი ტრესტების დირექტორები წინადადებას იძლეოდნენ სოციალისტური სისტემა შეეცვალათ საბაზრო მოთხოვნილების მექანიზმით, რათა საქონლის მიწოდების დროს გაეთვალისწინებინათ უსაჭიროეს მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, არ დაეშვათ ბაზარზე უხარისხო საქონლის გამოტანა. საქონლის ფასი, რაც შეიძლება ზუსტად ყოფილიყო გამოანგარიშებული, მუშის ხელფასი და შრომის პირობები უკეთ მოეგვარებინათ. შეიძლება ასეთ შთაგონებას, თავის დროზე, შესაფერი ნაყოფი გამოეღო, ამ ჟამად კი პარტია და მთავრობა ძალზე მერყეობს, ვერც ბედავს ასეთ ღონისძიების გატარებას დასტური მისცეს რევიზიონიზმის დაბრალების შიშით. ძველი რუტინით განაგრძობენ მარცხიან სვლას და ეკონომიური სინამდვილის აუცილებლობა მათ, მაინცა და მაინც ანგარიშში მისაღებად არ მიაჩნიათ საჭიროთ.

ასეთ უთავბოლო ექსპერიმენტებით შეუძლიან საბჭოთა კავშირს ამერიკას დაეწიოს და გაუსწროს? ამ სისტემით შეუძლიანთ სახელმწიფოს ხელმძღვანელებს დაპირების შესრულება? ე. ი. წარმოების სოციალისტური სისტემით შეჯიბრებაში გაიმარჯვებს და კაპიტალი-

## დაგეგმილი მეურნეობის კრიზისი.

(დასაწყისი იხ. პირველ გვერდზე).

სტური სისტემის უპირატესობას უკან ჩამოსტოვებს? ეს მყვირალა ლოზუნგები და გამოწვევა სოციალიზმის და კაპიტალიზმის შორის კონპეტენცია, თავიდანვე ყველას საეჭვოდ მიაჩნდა, ეხლა კი ყველასათვის ცხადი გახდა მისი უსაფუძვლობა.

საბჭოთა კავშირში სტატისტიკური ცნობები სინამდვილის ყალბი ანარეკლია. მასზე დაყრდნობა და საბჭოთა ეკონომიკაზე, მის ნამდვილ მდგომარეობაზე მიახლოვებითაც კი ძნელია სწორი წარმოდგენის შექმნა. ჩვენ გვინდა ვთქვათ, რომ მათი ასტრონომიული ციფრები საწარმოო პროდუქციის შესახებ, სრულებით არ არის ქვეყნის ნამდვილ ვითარების უკუფენა. ზოგი მკვლევარი საბჭოთა ოფიციალურ ინფორმაციას ნდობას უცხადებს, ფანტასტიკურ ციფრების გროვას იყენებს და საბჭოთა ინდუსტრიის დიდ განვითარების პერსპექტივას სახავს. უნებლიეთი შეცდომა ყველას ეპატიება, ხოლო განზრახ ჩადენილი სიყალბე, სისხლის სამართლის დანაშაულია.

სარწმუნო ცნობების მიხედვით, რომელიც ამერიკის პრესაში გამოქვეყნდა, აღნიშნავდა, რომ საბჭოთა ეკონომიური პოლიტიკა მარცხს განიცდის, რადგან 1963 წლის წარმოების ტემპო გამოიხატა 2.5% და პროდუქციის განვითარების რიტმი უფრო დაბალი იყო, ვიდრე ამერიკისა.

განრისხებულმა მოსკოვმა პასუხი არ დააყოვნა: ამერიკის ცნობები თავიდან ბოლომდე გამოგონილი ცილისწამებაა. სინამდვილეში განვითარების ტემპი გაცლებთ მეტი იყო, ის გამოიხატა არა 2.5%, არამედ 9.5%. საბუთი? ლიტონი სიტყვები, არავითარი არგუმენტაცია. ამერიკის და საბჭოთა კავშირის ცნობათა შორის, როგორც ვხედავთ დიდი განსხვავებაა. საბჭოთა ეკონომიურ კრიზისსა, საქონლის ნაკლებობას, ნამდვილ უმწეო მდგომარეობასა და გაზვიადებულ სტატისტიკურ ციფრებს შორის ცხადი დისპროპორციაა. ამას ნათლად ღაღადებს უცხოეთში დიდი რაოდენობით პურეულობის და სხვა სურსათ-სანოვაგის გამალებული შეკვეთის ფაქტი.

ახლა საკითხი ისმის, საბჭოთა კავშირს შეუძლია წარმოების დარგში ამერიკას გაუსწროს? დაახლოვებით ამას როდის შესძლებს? ჩვენთვის ასეთი კითხვა არც კი არსებობს. საბჭოთა წყობილების ამდენი ხნის არსებობამ, კომუნიზმის მშენებლობამ, მრავალჯერ დაპირებულ და მრავალჯერ შემდეგისათვის გადადებულ ამ ქვეყნიურ სამოთხის მოახლოვებამ, ეს იმედები ვერ გაამართლა. მისი ეკონომიურ დარგში ჩამორჩენილობა იმდენად საყოველთაოდ ცნობილია, რომ ამას მტკიცებაც არ სჭირდება.

კრემლის მესვეურები, ხშირად საჯაროდ აცხადებენ და საბჭოთა კავშირის მოსახლეობასაც არწმუნებენ, რომ ეს დაწევა და გასწრება მოხდება 1970 წლისთვის. ამ ბოლო დროს უფრო დაჯერებით იმეორებენ, რომ ეს მიღწევა 1980 წ. არ გადაშორდება.

ერთი ფრანგი ეკონომისტი (ბერნარი) საბჭოთა ეკონომიკის სპეციალისტი, ინდუსტრიის განვითარების ტემპს, ორვე ქვეყნისას (საფრანგეთის და საბჭოთა კავშირის), ადარებს მცხოვრებთა რაოდენობასთან შეფარდების მიხედვით და ასკვნის, რომ მხოლოდ ელექტრონის და ფოლადის წარმოების დარგში საბჭოთა კავშირი საფრანგეთს გაუსწორდება 1970-75 წ. თუ ჩვენ შევადარებთ რეალურ შემოსავლის ზრდას, თვითეულ მცხოვრების მიხედვით და წარმოვიდგენთ, ჰიპოტეზას ყველაზე უფრო ხელსაყრელს, 1961 წ. საბჭოთა კავშირის, შემოსავალი, საფრანგეთის შემოსავლის 75% აღწევდა, ხოლო შესაძლოა საბჭოთა კავშირის შემოსავალი 1971 წ. 91%-დე გაიზარდოს. ამრიგად საფრანგეთის შემოსავალს ვერასოდეს ვერ დაეწევა და ვერც გადაასწრებს. ეს შეფარდება, რასაკვირველია, ამერიკასთან შედარებით, მაინც ძალიან მცირე ოდენობის იქნება, აცხადებს თავის წიგნში საბჭოთა კავშირისადმი მეტად ლოიალურად განწყობილი ფრანგი ეკონომისტი.

მართალია ამ 45 წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირის ეკონომიური პროგრესი უდაო ფაქტია, იმდენათ, რომ ზოგიერთი ახლად განთავისუფლებული ჩამორჩენილი ქვეყნები, ეკონომიური განვითარების გზაზე დამდგარნი, საბჭოთა დაგეგმილ მეურნეობის ექსპერიმენტებით მოხიბლულნი, იქ ეძებენ მისაბაძ მაგალითს და გამოცდილების გამოყენებას. ეს ექსპერიმენტი, აღნიშნავს იგივე ეკონონისტი, აუცილებლად მისაბაძი და სასარგებლოა მხოლოდ ერთი პირობით, სახელდობრ, ეს უნდა ხდებოდეს „მთლიანი მეურნობის ეკონომიური ანალიზით, კვლევის წონასწორობის დაცვით, განსაზღვრულ საწარმოო ობიექტებზე კაპიტალის დაბანდების წახალისებით“. ხოლო სოციალისტური სისტემის ბრმად გადმოღება და მიბაძვა, ყოველთვის დაკავშირებულია დიდ რისკთან. განსაკუთრებით კი იმ ქვეყნებისთვისაა საზიანო და სახიფათო, რომელთაც არც საბჭოთა კავშრის გეოგრაფიული ტანი და არც იმდენი ბუნებრივი სიმდიდრენი გააჩნიათ.

საბჭოთა ეკონომიური დოქტრინა გულისხმობს საწარმოო საშუალების ნაციონალიზაციას. ეს პოლიტიკა აფრთხობს კერძო კაპიტალს და უცხოეთში იხიზნება, სადაც მათთვის ხელსაყრელი პირობებია. ასევე სოციალისტური ქვეყნები ვერ იზიდავენ უცხო კაპიტალს, საკუთარი სალსრები კი საკმარისად არ არის ქვეყნის ეკონომიური განვითარებისათვის, რაც საგრძნობლად აგვიანებს მათ ინდუსტიალიზაციას და სოფლის მეურნეობის ტრანსფორმაციას. სოციალიზმის გზით სიარულს ჩვენ ვერ ურჩევთ ახლად შობილ სახელმწიფოებს, რადგან ისენი ამით მოსწყდებიან სავაჭრო ცენტრებს, რაც იწვევს საქონლის გაიშვიათებას და უკმარობას, ე. ი. სიღარიბეს და სილატაკეს.

კაპიტალისტური განვითარების ეტაპის გავლა ყველასათვის სავალდებულოა, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერც ერთი ქვეყანა ვერ აცდება ქრონიკულ ეკონომიურ კრიზისს, ვერც ინდუსტრიაში და ვერც სოფლის მეურნეობის დარგში. საბოლოო ანგარიშში ისევ კაპიტალისტურ ქვეყნებს უნდა მიმართონ დასახმარებლად.

საბჭოთა კავშირში აბსოლუტურ დოგმად იქცა მძიმე ინდუსტრიის უპირატესობა, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებიდან ეკონომიური დამოუკიდებლობა მოიპოვონ. ცხადია, ყოველი ქვეყნის წარმოების მნიშვნელობა იზომება, იმდენად, რამდენათაც მცხოვრებთა აუცილებელ მოთხოვნილების საჭიროებას მასიურად აკმაყოფილებს. მაინც რა საჭიროა, გინდა თუ არა, ყოველთვის მეურნეობის განვითარება დავიწყოთ, უსათუოდ მძიმე ინდუსტრიის შექმნით? უმჯობესია უპირატესობა პირველ რიგში მიენიჭოს წარმოების იმ დარგებს, რომელიც აკმაყოფილებს ხალხის საჭირო მოთხოვნილებას, ე. ი. მსუბუქი ინდუსტრიის განვითარებას, რაც საფუძვლად დაედება შემდეგისათვის მძიმე ინდუსტრიის წარმატებას, თუ კი ამისთვის საკმაო ბუნებრივი რესურსები მოიპოვება. ეს იქნებოდა ეკონომიური განვითარების წალმა წარმართვა და არა უკუღმა, რაც საბჭოთა კავშირში ასე უთავბოლოდ წამოიწყეს და ამიტომაა, რომ ყოველ ფეხის ნაბიჯზე სიძნელეებს აწყდებიან, მიუხედავათ ადამიანთა მასების ზღვა ენერგიის დახარჯვისა, მაინც მიზანს ვერ აღწევენ და ვერც კრიზისებს იცილებენ თავიდან.

ხ. ჭირაქაძე.

## ქართველი ქალი საბჭოთა საქართველოში.

### ქართველი ქალი და „8 მარტის დღესასწაული.

(წერილი მეორე)

**სანუგეშო ხმები ბათუმიდან.**

პირველ წერილში, რომელიც საბჭოთა ქალის საზეიმო დღეს, 8 მარტს მიუძღვენით, ჩვენ ქართველი ქალის დაბეჩავებული და მძიმე მდგომარეობის მაგალითები მოვიტანეთ (თბილისის ჟურნალ-გაზეთებიდან). იმ წერილში საბჭოთა კორესპონდენტების და მწერლების მიერ საკმაო სინამდვილითაა გადმოცემული ჩვენი დღევანდელი სოფლის და ქალაქის მუშა ქალის უხალისოდ, უილაჯოდ და სილატაკეში გატარებული „შრომის დღეები“.. მათ სურათებში სიცხადით გამოსჩანან ქართველ ქალთა ადრე დანაოჭებული სახეები, დაკოჟრებული ხელები და ასევე ადრე გაჭაღარავებული თმები; მათი ნაძალადევი ღიმილი (კორესპონდენტ-ფოტოგრაფის დაკვეთით) და ჩრდილი სასოწარკვეთილებისა დაღლილ თვალების სიღრმეში, ველარ იფარება... სამშობლოს თავისუფლებასთან ერთად საკუთარი ოჯახის დამკარგავს და შრომის მძიმე უღელში შებმულ ქალს, დიდი ხანია წაართვეს ნამდვილი ხალისის უნარი, და ის, ცივად მბრუნავ მანქანის დამატებად აქციეს...

აი, რა დარჩა ოდესღაც ბრწყინვალე და მშვენიერ ქართველ ქალიდან, რომელიც ოდითგანვე შრომობდა, ერისა და ოჯახისათვის იღვწოდა, მაგრამ ქალის ნამდვილ არსებას და შვენებას მაინც მტკიცედ ინახავდა, და ილიას მადლიანი თქმით, იყო მარად „დედა შვილისა და თან დედა ქართლისა“...

დღეს ყოველივე ეს წარუხოცია და აღუგვია უცხო ძალის ბატონობას...

***

მეტყვიან: საკუთარ ოჯახის დარღვევას ყოველი ერის დედაკაცი მწვავედ განიცდის. ქართველი ქალი ხომ გამონაკლისი არაა. მართალია, მაგრამ მდგომარეობას ხომ არ ცვლის ის ფაქტი, რომ ჩვენთან ერთად იტანჯება უკრაინელი, უზბეკელი, ლიტველი, ბელორუსიის და თვით ველიკორუსის ქალიც?

რასაკვირველია მძიმეა ყველა მათი ყოფა, მაგრამ რუსული ოჯახის რღვევა რუსის ერს ეროვნულად ისეთ ხიფათში როდი აგდებს, როგორც დანარჩენ ერებს და მათში საქართველოს. მიუხედავად კოლექტივიზაციისა და ოჯახთა რღვევისა, რუსის ერი მაინც პრივილეგიურ მდგომარეობაში რჩება: რუსული კულტურა და ენა პარტიულ და საბჭოთა აპარატებით მძლავრად იჭრება სხვა ერთა საზღვრებში და ამ ერების ენას თანდათან მეორე ხარისხოვნად ხდის. ბოლოს მათ ხმარებას არა რაციონალურად აცხადებს. ცალკეულ ერთა ყოველ გვარი კოლექტიური ცდა,—თუნდ საკუთარ მეობის და ენის სიწმინდის დასაცავად ჩატარებული,— რუსეთს მის საწინააღმდეგოთ მიმართულად მიაჩნია; რატომღაც ეს „ანტიკომუნისტურია“ და კრემლი ამაში „რეაქციონორობას“ და „შოვინისტობას“ ხედავს.

ამის მაგალითები უამრავია, მაგრამ გავიხსენოთ შარშან მომხდარი ამბები და ბათუმის მასწავლებელ ქალთა ტრაგედია.

ამ უკანასკნელებმა ქართული ენის სიწმინდის დასაცავად ღირსეული ნაბიჯი გადადგეს: მათ დააარსეს არა პოლიტიკური, მაგრამ ეროვნულ-კულტურული საზოგადოება, რომლის მიზანი იყო: ქართული ენის სიწმინდის დასაცავად ყოველგვარი უცხო სიტყვები (იგულისხმეთ უმთავრესად რუსული) ხმარებიდან გაედევნათ. ბათუმის ქართველ ქალთა ამ თაოსნობამ ყველა წრეებში დიდი გამოხმაურება მოიპოვა. საქმეც დიდის წარმატებით წავიდა და საზოგადოების წევრთა რიცხვი დღითი-დღე იზრდებოდა. მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს, მოსკოვის ბრძანებით, ქალთა ეს კეთილშობილი საქმიანობა ერთის დაკვრით განადგურდა. „ქართული ენის სიწმინდისათვის მებრძოლი საზოგადოება“ დახურულ იქმნა, მისი მონაწილენი ზოგნი სამსახურიდან მოხსნეს, ზოგნი სასტიკად გააფრთხილეს და ზოგნი კიდეც დააპატიმრეს. (იხ. ამაზე მიუნხენის სათანადო რადიო გადაცემა. ქართული რედაქცია“).

ტყვილად შეეცადნენ ქართველი ქალები ეს „წამოწყება“ არა აოლიტიკურ აქტად, არამედ უბრალო მოქალაქეობრივ, ლეგალურ საქმედ გამოეცხადებინათ „მოსკოვის წინაშე“, სადაც ისენი ჩაასმინეს და საიდანაც მათ წყრომა მოევლინა... ასე განუკითხავად და უხეშად დევნილმა ქალებმა, სხვა გამოსავალი რომ ვერ ჰპოვეს, მოსკოვის ცენტრალურ ხელისუფლებას მიმართეს და წარუგზავნეს 'განმარტების“ წერილი რუსეთის კომუნისტურ პარტიის და მთავრობის ცენტრალურ ორგანოს „იზვესტიას“. ისენი შეეცადნენ თავისი თაოსნობა და ქართული ენის სიწმინდის დაცვის საზოგადოების დაარსება „უბრალო საქმეთ, თავის შესაქცევ პატარა ამბათ“ გამოეცხადებინათ. ამ განმარტებაში ქართველი მასწავლებელი ქალები გაკვირვებით კითხულობენ: „განა ქართული ენის სიწმინდის დაცვა **სოციალისტურ ქვეყანაში დანაშაულათ ჩაითვლება?** განა ამის გამო სამსახურიდან მოხსნა დიდ გაუგებრობათ არ უნდა ჩაითვალოსო?“

***

არ იფიქროთ, რომ ბათუმის ქართველ პატრიოტ ქალებს ასე ადვილად გადაედგათ ეს ნაბიჯი და ადგილობრივ, „ქართულ“ ხელისუფლება-სამართლისათვის შეგნებულად გვერდი აეხვიოს, რათა განაჩენი რუსეთის მთავრობისაგან მოეთხოვოთ. მათ კარგათ იცოდნენ რომ ასეთი ნაბიჯი პრინციპიალურად და ეროვნულად მავნებელი იქნებოდა. ეს იქნებოდა ქაღალდზე დარჩენილ „კონსტიტუციით მინიჭებულ ეროვნულ უფლების“ თვით ქართველ ქალთაგან უარყოფა. მაგრამ რა ექნათ, როდესაც მოსკოვის კარნახით ყველა ადგილობრივ („ეროვნული“) პარტიული და საბჭოური ორგანოები ბათუმის ქალთა წინააღმდეგ ამხედრდნენ? როგორც ეს მოსკოვის დიქტატურას ჩვევია, ამ ქალებს სწორედ „ქართული“ პარტიული ორგანიზაციები მიუსიეს; დაცინვით, კიცხვით, დევნით და სასტიკი რეზოლუციებით ამ „შოვინისტ“ ქართველ ქალთა საქმიანობა ანტიპარტიულად და მავნებელ მუშაობათ გამოცხადდა. ამ რეზოლუციებს, (რომელთა გამოტანის დროს „დამნაშავე“ ქალებს არავინ მოუსმინა), ავტომატიურად საბჭოთა ორგანოების სანქციები მოჰყვა. ქართული ენის სიწმინდისთვის მებრძოლი ქალები, როგორც ეს ზევით აღვნიშნეთ სამსახურიდან მოხსნილ და დევნილ იქმნენ. ამნაირად სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი ბათუმის მასწავლებელი ქალები იძულებული გახდნენ „განმარტებებისათვის“ ამ სასჯელის მთავარ მოკარნახესათვის, რუსეთისათვის მიემართათ და მათ რუსეთის ცეკას ორგანოს საკმაო გულწრფელობით, უბრალო და მარტივი კითხვები დაუყენეს: 'ჩვენ თუ ქართული ენის სიწმინდეს ვიცავდით, განა ამით კომუნიზმის, ან ლენინიზმის იდეებს რაიმე ზიანს ვაყენებდით?

სწორედ ამ გულუბრყვილო შეკითხვაში მოსკოვმა დიდი ხიფათი დაინახა: ბათუმის ქალების ამ მაგალითისათვს შეიძლებოდა სხვა ერების ქალებსაც მიებაძათ და ეს ხომ სხვადასხვა ეროვნულ ერთეულებში რუსულის ენის თან და თან გაბატონების წინააღმდეგ მძლავრ ტალღას შექმნიდა! მოსკოვმა მოხერხებულად მარტივი კითხვა სულ სხვა სფეროში გადაიტანა: მან ის „შოვინიზმის“ „კარჩაკეტილობის“ ნაყოფად გამოაცხადა და ანტიპარტიულ და ანტილენინურ მოძრაობად მონათლა. „იზვესტიამ“ მყისვე სარედაქციო დიდ წერილში, რომელიც თავიდან ბოლომდე იეზუიტურად და მზაკვრულადაა შედგენილი, ბათუმის ქალთა ორგანიზაცია დაგმო და **რეპრესიები მიზან შეწონილად სცნო.** თვით წერილის სათაური აშკარად ამხელს ამ მზაკვრობას: „ენის სიწმინდეზე და აზრთა აღრევაზე“. ამით მოსკოვს სწადია „ნათელ ჰყოს“, რომ ის კომუნისტურ და ლენინურ-დემოკრატიულ პრინციპებს კი არ ღალატობს, როდესაც ენის სიწმინდის დაცვის საზოგადოებას ანადგურებს, არამედ **„აზრთა აღრევას“** ებრძვის რაც თითქოს **ამ „საზოგადოებაში“** იქმნა აღმოჩენილი.

„მართალია“, ამბობს „იზვესტიას“ ავტორი, „აქ საიდუმლო საზოგადოება“ არ დაუარსებიათო, „მაგრამ“, უპასუხებს ის მასწავლებელ ქალებს, „თქვენ განათლებული ხართ და თვითონაც მშვენივრად გესმით, რომ ნაციონალიზმი არა მარტო დიდ პოლიტიკურ აქტში გამოვლინდება!

„ეს ერთად-ერთი **ყველაზე მავნებელი** და ზედმიწევნით ცხოველმყოფელი გადანაშტი (ნაციონალიზმი) თავის გზას იკაფავს სულ სხვა სახის ხვრელებით და თქვენი, ეგრეთ წოდებული „ბრძოლაც“ მითომ „დედა-ენის სიწმინდისათვის“ მრავალთათვის გახდა **ამგვარ ნაციონალზმის გამოვლინებად“...** იცით „იზვესტიას“ კორესპონდენტი რით უსაბუთებს მათ ამ „შოვინისტურ ნაციონალისტურ ტენდენციებს“? კორესპონდენტი ბ. ზვიაგინი, გვაუწყებს, რომ ამ პროცესის წინ ის ყოფილა ბათუმში და იქ სეირნობის დროს, მთავარ ქუჩაზე და უნახავს, რომ „თავშეყრილი ახალგაზრდები რაღაცაზე ცხარედ დაობდნენ და ხელებს აქეთ იქით იქნევდნენ. მე დავინტერესდი და გამოვარკვიე, რომ ერთი ამ ყმაწვილთაგანი მოითხოვდა მეორისაგან ჯარიმის გადახდას, ვინაიდან მას ლაპარაკში, ქართულის ნაცვლად, რუსული სიტყვა წამოცდენია. მაშინ მე ამას ყურადღება არ მივაქციე... მაგრამ დღეს, როცა მე გავეცანი თქვენი „საზოგადოების“ ამბებს და თქვენი „თამაშის“ ჭეშმარიტ **მარილს,** მივხვდი, რომ ეს ბავშვები თქვენი პირდაპირი მიმდევრები ყოფილან. თქვენი მიბაძვით, ძვირფასნო მასწავლებელნო, მათაც დაიწყეს სასტიკი დევნა რუსული სიტყვებისა ჩვეულებრივი საუბრის დროს... ასე რომ **„არომატი“** თქვენი საზოგადოებისა გავრცელდა შორს, თქვენი საზოგადოების საზღვრების გარეთ“... (იხ. მოსკოვის „იზვესტია“ 24.9.1963.წ.) კრემლის მთავრობის ორგანოს ამ „განმარტებას“, ვფიქრობთ, განმარტება არა სჭირია. ამ წერილმა ერთხელ კიდევ ნათელ-ჰყო აღვირაშვებულ რუსულ იმპერიალიზმის ბუნება და ტრადიცია, ეროვნულ ერთეულთა წინააღმდეგ უხეშად გალაშქრებისა.

***

ამგვარად იდევნება ყველა სხვა ერების **რა**იმე სახის ცდა საკუთარი ენისა და კულტურის დაცვისათვის. ამ ცდებში რუსეთი მის საწინააღმდეგოდ მიმართულ დარაზმულობას ხედავს და ყოველ ასეთ კულტურულ-ეროვნულ ნაბიჯს **მყისვე ტერორით პასუხობს.** ცენტრიდან ნაკარნახევ რუსიფიკაციას ადგილობრივი წინააღმდეგობა არ უნდა ელობებოდეს, ეს იქნებოდა „კომუნიზმის ღალატი, მუშათა ინტერნაციონალური გზიდან აცდენა და, ამნაირად, ლენინიზმის საწინააღმდეგოდ მიმართული ცდებიო“. ამ გზაზე ყველაფერი უმტკივნეულოდ უნდა მიდიოდეს „დიდი ლენინის აზრების და მისი ენის“ გასაბატონებლადო.

ვის ან რით შეუძლიან ამ საშინელ დაწოლას გაუძლოს? ან მას რაიმე წინააღმდეგობა გაუწიოს? ერთად ერთი ასეთი ძალა იყო და რჩება ოჯახი, მისი ტრადიციებით და გამძლეობის უნარით. მთელ საბჭოთა კავშირში საქართველო უდავოთ ერთი უძველესთაგანია თავისი ოჯახური ტრადიციებით. ამიტომაც ის სხვებზე თუ მეტად არა არც ნაკლებად განიცდის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისი ოჯახის საფუძვლის რღვევას ცენტრალურ კომუნისტურ შემოტევის დროს. ამიტომ გასაგებია და ბუნებრივიც ამ მძიმე დროში ქართული ოჯახის დედა-ბოძის—ქალის, გლოვა და მწუხარება, მაგრამ გაუგებარი და სავსებით არა ბუნებრივია ზოგიერთ ქართველ ქალების გადაჭარბებული „ხოტბები", მიძღვნილი ჩვენი ქვეყნის დამპყრობთა და ოჯახის მომშლელთა მიმართ... მაგრამ ორმაგად უფრო გულსაკლავია ამ ხოტბის ქვეშ ისეთ ქართველ ქალთა სახელის ამოკითხვა, რომელთაც ერმა პატივისცა, შრომა დაუფასა და დაფნის გვირგვინიც კი მიართვა.

ჭეშმარიტად, ქართველ დედას არ შეშვენოდა „ეამაყნა" რუსეთის ბოლშევიკურ ჯარის მიერ საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოს განადგურების დღით; ეს ვერავითარ მდგომარეობით და ვერც „წარმატება-ორდენებით" ვერ იქნება გამართლებული და სტრიქონები, მითომდა საკუთარ შვილისადმი მიძღვნილი, ავტორისათვის სამარცხვინოთ დაშთება.

აბა ჭეშმარიტი ქართველი დედა ამას ხომ არავითარ პირობებში არ დაუწერს და არც ეტყვის „მილოცვით და შეფრქვევით" საყვარელ ასულს,, მისი დაბადების დღეს:

„შენ დაიბადე ოცდა ერთ წელში,
**„როდესაც ზეცა წითლად გაიხსნა,**
„და საქართველომ, მოხრილმა წელში,
**„მტარვალებისგან თავი დაიხსნა"...**

1921 წელს, თებერვალში საქართველოს დამოუკიდებლობა-თავისუფლებისაგან 'თავის დახსნით" თურმე არა მარტო „ქართველი დედა" გაბედნიერებულა, არამედ მისი „ოცდა ერთ წელში დაბადებული ასულიც" და ამით აღტაცებული ასე უმღერის მას:

„ბედნიერი ხარ, ჩემო პატარავ,
„რომ არ გინახავს მწარე წარსული...
„შენს დაბადების პირველი დღიდან
„სუნთქავ ჯანსაღ და მზიან ჰაერით"

აი, რა გატაცებით უმღერის საკუთარ ქვეყნის და ერის დამონების დღეს ქართველი მგოსანი ქალი, რომელსაც ჩვენთან ერთად უნახავს 26 მაისის თავისუფალი სამშობლო, ის თითქოს ბედნიერია იმით, რომ მის ასულს არ უნახავს „ის მძიმე წარსული" 26 მაისის საქართველო. ასეთი „შემოქმედებით" მგოსანმა თავისებური ორდენიც დაიმსახურა, მაგრამ არა გვგონია, მისი ორდენიანი სურათის წინ სირცხვილმა არ გააწითლოს. მე კარგად ვამჩნევ ცრემლებს მისი ნიღაბის ქვეშ, მაგრამ მისდა სანუგეშო სიტყვა „ქართულ ლექსიკონში" ვერ მიპოვნია...

თუ ასე იქცევა და ფერს იცვლის ჩვენი დროის და თაობის ქართველი ქალი, რაღა უნდა ვთქვათ იმ ქართველ დედაზე და ქალზე, რომელიც საბედისწერო 1921 წლის შემდეგ წამოსულა და „მძიმე წარსულის" სიხარულს არც მოსწრებია? ამიტომ ზოგიერთ ამ დაქირავებულ და ულირს ქართველ „მგოსან ქალს", საბჭოთა ატმოსფერომ და რეჟიმმა რომ შექმნა, ჩვენ ბევრს ვერ მოვთხოვთ და არც მათი ყალბი, სრულიად პრიმიტიული 'შეშინებულის ხოტბა" გვაკვირვებს, როგორც მაგ. ქ-ნ ლელი ნუცუბიძის ამგვარი აფორიზმი:

„შენ, შენ გიმღერ დედა მოსკოვო,
„ჩემო სამშობლოს გულო მღელვარე...
„დიდი ლენინის აზრები მოსავს
„ხალხის მომავალს და ნათელ მიზანს...
„წინ კომუნიზმის ვარსკვლავი მოსჩანს,
„ვენდოთ პარტიას, მივყვებით მის გზას."

(იხ. „ვაშა პარტიას". „ლიტერატურული საქართველო" 1963 წ.)

ჭეშმარიტად, ჩვენ ვერას მოვთხოვთ მას, რომელიც ისე აღგზნებით უმღერს „მშობლიურ" „დედა-მოსკოვს" და მის „მშობლიურ პარტიას. მით უმეტეს ვერ მოვთხოვთ მას ქართველ დედობას და ქალობას"... ეს თვისება და ღირსება მას წაართვა ორმოცი წლის საშინელმა მონობამ, ქართული ოჯახის გავლენის გარე ყოფამ. საამისო მაგალითებით სავსეა დღევანდელი ჩვენი მწერლობა საქართველოში. ბევრს ცდილან საბჭოთა ორგანოები, რომ ეს დაცემა და გადაგვარება 'უაღრეს და ეპოქალურ წარმატებად და „მზიურობად გამოაცხადონ და საამისო დირექტივებს ხომ მუდამ უმეორებენ მწერლებს და ხელოვნებს ჯერ მოსკოვიდან და შემდეგ მისი ადგილობრივი ე. წ. ეროვნული მთავრობის და პარტიის აგენტები: მწერლობამ მხოლოდ ეს ქალები უნდა გამოიყვანოს „გმირებად" და მათი ცხოვრება კი განლაღებულადო... მაგრამ სინამდვილეში სულ წინააღმდეგს აღწევენ. საკმარისია გადახედოთ დღევანდელ მწერლობას, რომ იქ ჩვენი ქვეყნის და ცხოვრების გულსაკლავი სურათები და ამბები ამოიკითხოთ: სიღატაკე, უბინაობა, შიმშილი, სიცივე, მლიქვნელობა, ქურდობა, მექრთამეობა, სიცრუე და თან ყოველი სახის მანკიერობა. ამის მაგალითებს უხვად შეხვდებით კოლექტივის ცხოვრების ამსახველ მწერალ მრელაშვილის რომანში :ყაბახი" (იხ. მნათობი 1963წ.) მერე სად და რაში სჩანს აქ „მზიურობა", აყვავება, გაუგონარი წარმატება? ამის ნასახსაც დღემდე ვერსად ხვდებით იქაურ სინამდვილეში და რჩება ყველგან „მხოლოდ იმედი", **მშრალი, უშინაარსო სიტყვები, ხვალინდელ ბედნიერებაზე"...** ჩვენ შევეცდებით ამის მაგალითბი ცალკე გავაცნოთ მკითხველს, დღევანდელი ნაწარმოებებიდან სათანადო ადგილების მოტანით. ეხლა კი გვინდა ვიკითხოთ რად ხდება ეს საშინელი წინააღმდეგობა? რად გამოჰყავს დატყვევებულ მწერლობას კეთილის ნაცვლად ბოროტი? სილაღე-სიმდიდრის ნაცვლად, საშინელი სიღატაკე? მზიური სიხალისის ნაცვლად უიმედო, სევდით სავსე ყოფა? ეს ხდება იმავ ძველ და ურყევ კანონით, რომ შემოქმედება და ხელოვნება პარტიულ დოგმათა ჩარჩოებში ვერ მოთავსდება; ის სადმე მაინც გაარღვევს ზღუდეს და თავისუფალი ბუნებით გამოაშუქებს... ასეა აქაც: პარტია და მთავრობა მწერალთ უბრძანებს აღწერონ „არა ფანტაზიები", არამედ „დიდი და ნამდვილი მიღწევები ინდუსტრიალიზაციისა, კოლექტიური მშენებლობისა და ათასი წარმატებებისა" და მწერალიც აღწერს „სინამდვილეს": თუმცა ხოტბებით იწყებს, მაგრამ მისი გმირების ასპარეზი, ფიქრები, საქმე და შედეგები ხომ ყოველდღიურ სინამდვილეში, რეალურ ვითარებაში ტრიალებენ და იშლებიან. აი, აქ, ამ გარემოში აღწერს მას, **რასაც ნამდვილად ხედავს...** და ამის შედეგია ეს ყოვლად უნუგეშო ყოფა, ერთფეროვანი, უძარღვო და მონური სიცოცხლე. ეს არის სინამდვილე, რაც ქალაქში და სოფელში შეუქმნია კომუნიზმს... მის ინდუსტრიას და კოლექტივებს. ვიმეორებთ, ამის მოჭარბებით მაჩვენებელ სურათებს ბლომად ვხვდებით საბჭოთა კავშირის და კერძოდ საბჭოთა საქართველოს მწერლობაში და გვინდა ამას განსაკუთრებით დავუბრუნდეთ, რათა ყველას ვაჩვენოთ, თუ როგორის ხერხით და მზაკვრობით ანგრევს მტერი ჩვენს ოჯახს და ამით ქართველობას.. და აი ამ დაცემას აღლესასწაულებს ის ქართველ ქალს ყოველ წელს, 8 მარტს...

***

მაგრამ ამ ქალის ეროვნული შეგნება ამ მძიმე დროშიც, ჩვენ და ჩვენი მომავლის საბედნიეროდ, არც ისე განწირულია, რომ მტერმა „საქართველოს დაჩოქება" უკვე შესრულებულად ჩასთვალოს...

ყველა როდი მისცემია უიმედობას და პესიმიზმს, ან მტრის ქება-დიდებას... როგორც ფაქტები მეტყველობენ, ამ ქალების დიდი წყება „დამკვრელთ" ალმაცერად უყურებს და ის დიდ სიდუხჭირეში; **სხვა და სხვა გზით მაინც ცდილა შეინახოს მამა-პაპათა ენა, ადათები, წესი, ზნე და სამშობლოს სიყვარული.** შეუნახოს ერს ძველი განძი, ქართული ოჯახი. ის სიმწრის ოფლს ღვრის, რათა კოლექტივის ნორმებს როგორმე მორჩეს და ოჯახს მიაშუროს. მართალია ამ უსწორო ბრძოლას ბევრი ეწირება, მაგრამ ბევრი იმდენს მაინც აღწევს, რომ ქმარს გვერდში ამოუდგეს და შვილებს ქართული აღზრდა მისცეს. ამ ქალებს გვერდს უმშვენებენ სხვა მოწინავე ქალები ჩვენი ინტელიგენციის წრეებიდან: ექიმები, ვექილები, მასწავლებლები, ინჟინრები, აგრონომები, მეცნიერების და ხელოვნების მუშაკები, პროფესორები და დოცენტები, მხატვრები და მსახიობები, ქორეოგრაფები, ფოლკლორის მომსახურენი და სხვანი...

ესენი ჯერ კიდევ ცდილობენ გაუძლონ „წითელი იმპერიის დიდ დაწოლას", მაგრამ არც მტერს სძინავს და ის ჩვენ ეხლახან ვნახეთ ბათუმის მასწავლებელ ქალთა დევნის მაგალითიდან. ამავე მაგალითიდანვე ნათლად სჩანს, რომ ქართველი ქალი დღესაც იღვწის და იბრძვის იმ საშუალებით, რაც კი მოეპოვება და ქართველი დედის ამ ბრძოლას 40 წლის შემდეგაც ძველებურის თავდადებით აგრძელებს. რა უყოთ, რომ ზოგი დაიღალა, დადგა, ბედს და მტერს შეურიგდა, ან ზოგი მტერთა ბანაკსაც მიემხრო და წარჩინებით წახალისებული, მას აქებს და ადიდებს, ესენი უკვე ანგარიშიდან გამორიცხულნი არიან. ხოლო ვინც გულწრფელად ქართულ ისტორიასთან, მის სულთან და ოჯახთან რჩება, მომავალიც სწორედ მისია.

ხალხი ამათ კარგად იცნობს, შინაგან აფასებს და ხშირად გულში სიამაყით იმეორებს მის სახელს.

ეს არის ის ძალა, რომელსაც „იზვესტია" ირონიულად „არომატს" უწოდებს. ძალა, რაც ქმნის შინაგან სიმტკიცეს, **საზოგადოებრივ აზრს, ფარულ ქართულ ფრონტს.** ამათ ჩვენ ხშირად „ორდენების ქვეშაც" ვამჩნევთ.

ასე ყოფილა წინათაც და ეს არის ჩვენი იმედი სახვალიოთაც...

მოწინავე ქართველი ქალი 8 მარტს ისევე გლოვობს, როგორც 25 თებერვალს.

**სოფიო ლეონიძე.**

# ღია წერილი რადიოსადგურ „თავისუფლება"-ს ქართულ რედაქციას.

## 1. უცნაური პროპაგანდა.

იდეებისა და პრინციპების აღრევისა და გადანაცვლების ეპოქაში, დასავლეთის თავისუფალი ქვეყნები მაინცა ცდილობენ რუსეთის მიერ დაპყრობილ, და თვით რუსის ხალხს, მოვლენათა სწორი და უტყუარი დაფასება მისცენ. ამისათვის შექმნილია ძლიერი რადიოსადგურები.

ჩვენ, პრინციპში, სავსებით ვიზიარებთ ქართველების თანამშრომლობას ყველგან, ყოველ დაწესებულებაში, სადაც კი შესაძლებელია, ირიბულად მაინც, ქართული საკითხი დაისვას. იქ მომუშავე ქართველებს უდიდესი მოვალეობა და პასუხისმგებლობა ეკისრებათ და მათ მარტო აღმასრულებელის როლი კი არ უნდა შეასრულონ, არამედ, შეძლების გვარად, უნდა იყვნენ მრჩეველები იმ დაწესებულებებში, სადაც მსახურობენ, ვინაიდან საბჭოთა ჯოჯოხეთიდან გამოსული ყველაზე „გაურკვეველი" ადამიანი, უფრო მაღლა დგა და უკეთ იცის რუსული კომუნიზმის იმპერიალისტური მისწრაფებები, ვიდრე საბჭოთა კავშირის საქმეების დასავლეთელმა დიდმა სპეციალისტმა.

რა თქმა უნდა ეს ძალიან მძიმე მდგომარეობასა ჰქმნის ამგვარ დაწესებულებებში მომუშავე ქართველებისთვის, მაგრამ დაე „ჩვენ ვიქცედ იმ მარილის კვნიწად, რომელიც დიდ ქვაბში გადნება და წყალს მაინც გაამლაშებს".

ამ თვალსაზრისით თუ მიუდგებით რადიოსადგურ „თავისუფლების" 1963 წ. მიმოხილვას: „პასუხი ჩვენს მსმენელებს", მაშინ საიმედო და სანუგეშოს ვერაფერს ვნახავთ.

ამ პასუხიდან ვტყობილობთ, რომ ეს განმეორებაა თავთავის დროზე მიღებულ შეკითხვების პასუხებისა.

ჩვენ მრავალი საპატიო მოსაზრებებით არ გავეხმაურეთ გასული წლის მაისში გადაცემულ „26 მაისის მონტაჟს", სადაც საკითხი მცდარათ იყო წარმოდგენილი და ისტორიულ პერსპექტივას მოკლებული, არ გავეხმაურეთ ამ წლის „თებერვლის" ერთ (რადგან გადაცემული იყო ორი) გადაცემას, სადაც საკითხი „კლასიურად" იყო დაყენებული და ქართველი ერის დიდი ტრაგედიის მომენტში არა გაერთიანებულ ქართულ ძალაზე და სიმხნევეზეა ლაპარაკი, არამედ „გვარდია და ჯარათ" გაყოფილ საქართველოზე. იმ შემთხვევებში გამოსჭვივოდა ავტორის დაუდევრობა, მოვლენების უცოდინარობა და 1921 წ. თებერვლის ტრაგედიის შინაგანი განცდის და შეგრძნების ნაკლულოვანება. მაგრამ არ შეგვიძლიან უყურადღებოთ დავტვოთ „პასუხი მსმენელებს", ვინაიდან ეს არის არა მარტო მოვლენებში გაურკვევლობის მაგალითი, არამედ მებრძოლი სულის ჩაკვლის მოწოდებაც.

ჩვენ კვლავ ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენს თანამემამულეებს მრავალნაირი დაბრკოლება აქვთ გადასალახავი, მაგრამ მათი წმინდა მოვალეობა სწორედ ის არის, რომ ეს დაბრკოლებები გადალახონ. მით უმეტეს რადიო „თავისუფლების" რედაქციაში გამოცდილი მწერალ-ჟურნალისტები სხედან. და მათ თვით თარგმანშიც შეუძლიანთ შეიტანონ ისეთი პოლიტიკურ-ფსიქოლოგიური მომენტი, რომელიც ჩვენი ერის დღევანდელ მოთხოვნილებას დააკმაყოფილებს და მის წყლულს მალამოდ დაედება.

ისიც სიამოვნებით უნდა აღინიშნოს, რომ რადიო „თავისუფლებას" ქართულ რედაქციას ბევრად დაეტყო მისი „ფსიქოლოგიური" განტვირთვა და ახალგაზრდულმა ენერგიამ, არა მარტო გამოაცოცხლა იგი, არამედ ქართული ელემენტიც ჭარბად შეიტანა შიგ.

ასევე საჭიროა განიტვირთოს რედაქციის ყოველი თანამშრომელი იმ გავლენისაგან, რომელიც დაგვიანებული რეაქციის „რევოლუციური ფსიქოზის" შეფმა იქ ჩათესა.

მართალია დასავლეთის დაშინებული გონება და ამას აყოლილი თვით „მაღალი ხარისხის" პოლიტიკოსებიც კი დამბლადაცემულობას ამჟღავნებენ რუსული იმპერიალიზმის მიმართ, მაგრამ ჩვენ მაინც ვრჩებით იმ ჯანსაღ პოზიციაზე, რომ „სიწითლეს სიკვდილი სჯობია".

„პასუხი ჩვენს მსმენელების" ლიტერატურულ-ფრაზეოლოგიას რომ თავი დავანებოთ, ზემოთქმულის ნათელსაყოფად საკმარისია ერთი მაგალითის მოყვანა.

საქართველოდან მიღებული ერთი წერილის ავტორი სასოწარკვეთით ეკითხება თურმე რედაქციას: „მიპასუხეთ... მალე მოსპობთ ამ რეჟიმს და საერთოდ მალე გათავდება მშვიდობაზე ლაპარაკი?. ამის პასუხი იმდენად „დარბაისლურია" და იმდენად გამოსახავს დასავლეთურ მიამიტობას, რომ მოგვყავს მთლიანად.

„თქვენი წერილიდან ცხადათ სჩანს, რომ თქვენ შენატრით იმ დღეს, როცა მოისპობა კომუნისტური რეჟიმი ჩვენს ქვეყანაში. ამ დღეს ჩვენც შევნატრით, მაგრამ ეს ადვილი საქმე არ არის: ჩვენ ვიცით, რომ ამ რეჟიმმა აგერ უკვე თითქმის ნახევარი საუკუნეა გააძვალტყავა ჩვენი ქვეყანა, საბჭოთა კავშირში მომწყვდეული ყველა ერი, ხელში ჩაიგდო უზარმაზარი სიმდიდრე და იცით სად ფანტავს ამ ხალხის ქონებას? ხარჯავს პირველ რიგში—მხოლოდ და მხოლოდ შეიარაღებაზე. და დღეს, ატომურ ეპოქაში, ეს კომუნისტური რეჟიმი შეიარაღებულია ისე, რომ მასთან ომი დაღუპვა იქნებოდა არა მარტო კომუნისტებისათვის, არამედ მსოფლიოს მთელი ცივილიზაციისთვის და, რა რთქმა უნდა, თვით საქართველოსთვისაც. ამიტომ ატომური ომი არ შეიძლება უნდოდეს ვინმეს დღეს- მაგრამ ჩვენ არც იმგვარი მშვიდობიანობა გვინდა, როგორსაც კომუნისტური რეჟიმი ქადაგებს. ჩვენ მაგალითად, ერთი მხრით, ვცდილობთ, რომ ჩვენ სამშობლოში—საქართველოში—განხორციელებულ იქნეს ერისა და პიროვნების თავისუფლების დიადი იდეები. კომუნისტური ხელმძღვანელობა კი, როცა ეს მისთვის სასარგებლოა,—ცდილობს მშვიდობიანობის შენარჩუნებას მხოლოდდამხოლოდ იმისათვის, რომ შეინარჩუნოს თავისი ბატონობა ხალხზე".... „თქვენ შეიძლება შეგვეკითხოთ: რა გზითაა შესაძლებელი ჩვენს სამშობლოში ერისა და პიროვნების თავისუფლების დიადი იდეების განხორციელება? ჩვენი პასუხია: დესტალინიზაციის პროცესში, რომელიც ასე თუ ისე მიმდინარეობს საბჭოთა კავშირში, ჩვენმა ერმა უნდა შეეცადოს თანდათანობით, ლეგალური გზით, საბჭოთა კანონების ფარგლებში, მოიპოვოს მეტი თავისუფლება ცხოვრების ყველა სფეროში დღეს, მაგალითად, საქართველოში ხალხი უფრო თავისუფლად ლაპარაკობს, ვიდრე სტალინის დროს. დღეს უკვე არავის აპატიმრებენ, რამდე--ნათაც ეს ჩვენ ვიცით, მხოლოდ იმისათვის, რომ თავისი უკმაყოფილება გამოთქვა მთავრობის მიმართ. ეს, რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ არ არის თავისუფლება, მაგრამ ეს არის გზა თავისუფლებისაკენ: საქართველოს ყოველი მოქალაქის მოვალეობაა შეეცადოს რაც შეიძლება საფუძვლიანად, ინდივიდუალური აზროვნებისა და გადაწყვეტილებების საფუძველზე,—იმუშაოს საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ცხოვრების თანდათანობითი დესტალინიზაციისაკენ და ჩვენი რადიოსადგური „თავისუფლება" და ეხმარება ამაში ჩვენს მსმენელებს! რა თქმა უნდა, ეს ადვილი საქმე არ არის. მაგრამ ეს გზა უკეთესია, ვიდრე ატომური ომი, რომელიც მართალია მოსპობდა კომუნისტურ რეჟიმს, მაგრამ გამოიწვევდა აგრეთვე მთელი ცივილიზებული მსოფლიოს განადგურებას".

ეს გრძელი ამონაწერი საჭიროთ დავინახეთ, რათა მკითხველს ნათელი წარმოდგენა ჰქონდეს, თუ რას ვეძახით მცდარს.

იქნება „პასუხი მსმენელების" ავტორი ფიქრობს, რომ ისტორიაში რომელიმე ომი გამანადგურებელი არ იყო და მხოლოდ ეს მომავალი იქნება? საზოგადოთ ომი უკიდურესი საშუალებაა ეროვნულ სახელმწიფოებრივი ინტერესების დასაცავად, მაგრამ ომი მაინც ხდება და ხდება მაშინ, როცა საკითხის უომრად გადაწყვეტის ყოველი საშუალება ამოიწურება ეს მოხდება „ატომურ ეპოქაშიც", როცა თავისუფალი კაცობრიობა უომრად „მყუდრო და უშიშარი" ცხოვრების დამყარების შეუძლებლობაში დარწმუნდება.

როგორა ფიქრობს „პასუხი მსმენელების" ავტორი რუსული ექსპანსიის შეჩერებას? დესტალინიზაციით? როგორა ფიქრობს მოაგვაროს გერმანიის გაერთიანების, ვიეტნამის, ლაოსის, ცენტრალური ევროპის და სხ. საკითხები? ესეც დესტალინიზაციაში შედის? თუ ამ გადაცემის აზრობლივ მორალს გავყვებით, მაშინ აწ აღსრულებული პრეზიდენტი კენედი კრიმინალად უნდა გამოეცხადებინა კაცობრიობას და არა განთავისუფლებისთვის მებრძოლ ხალხთა ფალავნად, რომლის გამოც მსოფლიოს ყოველ კუთხეში უკვდავების ძეგლი დაუდგეს. პრეზ. კენედი ხომ პირველი კაცი იყო, რომელმაც მთელი ხუთი დღე დაძაბული ნერვებით აცხოვრა კაცობრიობა და კუბიდან რომ ნიკიტა არ გაქცეულიყო, განა ამის შედეგი „ატომურ ეპოქაში" ომი არ იქნებოდა? ეს ცხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ღია წერილი რადიო „თავისუფლებას“ რედაციას.**

(დასაწყისი იხ. მესამე გვ.)

ოველმყოფელი მაგალით იმ დებულების სასარგებლოდ ღაღადებს, რომ ომი ყველა ეპოქაში ხდება, როდესაც ამას რომელიმე ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესი მოითხოვს.

„პასუხი მსმენელების“ ეს ერთი მცდარი დებულება განმარტებულია მეორე არა ნაკლბად მცდარი და არაფრის მთქმელ დესტალინიზაციის პროცესით. ავტორი მოუწოდებს ქართველებს, რომ „ინდივიდუალური აზროვნებისა და გადაწყვეტილების საფუძველზე იმუშაოს საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ცხოვრების თანდათანობითი დესტალინიზაციისაკენ“ და აღუთქვავს: „ჩვენი რადიოსადგური „თავისუფლება“ დაეხმარება ამაში ჩვენს მსმენელებსო“

რას ეწოდება თავისთავად სტალინიზაცია?

არის ხრუშჩოვის განცხადება მართალი და „ლენინის პლატფორმაზე“ დამდგარი ნიკიტა მართლა ლიბერალდება და აუქმებს დესპოტიას? რასაკვირველია არა .

საზოგადოთ რუსეთის ისტორია რომ უყურადღებოთ დავტოვოთ, რომელიც დესპოტიზმში ჩაისახა და განვითარდა; იმასაც არ გაუწიოთ ანგარიში, რომ რუსეთში დღეს საქმე გვაქვს რუსული შოვინიზმის უმაღლეს გამოვლინებასთან და მის მსოფლიოში ბატონობის მისწრაფებასთან, საკმარისია გავიხსენოთ თვით ლენინი, რომელიც ამტკიცებს: „დიქტატურა თავის ბუნებაში შეიცავს განუსაზღვრელობას. ის არ უნდა ისაზღვრებოდეს არავითარი კანონით და წესით. მას არ უნდა აპრკოლებდეს არავითარი წესი და ის უნდა იყოს დაშენებული ძალაზე. დიქტაქურა ნიშნავს განუსაზღვრელ უფლებას, რომელიც ეყრდნობა ძალას და არა სამართალსო“. (ლენინი. იხ. სახელმწიფო და რევოლუცია“). ამ თეორიის მიხედვით ლენინმა თითონ მოსპო ეროვნული და მოქალაქეობრივი თავისუფლება გააუქმა პრესის, სიტყვის, დემონსტრაციის, პროფესიონალური კავშირების უფლებები და დაამყარა სა ხელმწიფოებრივი დესოპტიზმი. ლენინური მა რქსიზმი შეიცავს რელიგიური წესით ნათლობის, ქორწინების და დასაფლავების აკრძალვას და ათეიზმის გაბატონებას.

ამ ლენინურ მოძღვრებას პირნათლად ანხორციელებდა სტალინი. გამოსცვალა რამე „მოთვინიერებულმა“ ხრუშჩოვმა? ცხადია არა. რას იზავდა სტალინი იმაზე მეტს, რაც საქართველოში 1956 წ. მარტში და ამავე წლის შემოდგომაზე უნგრეთში ხრუშჩოვმა ჩაიდინა? ცხადია, რუსული ტანკები ისევე გასრესდნენ თავისუფლების მოყვარე ქართველებს სტალინის ბრძანებით, როგორც გასრისეს ნიკიტას ბრძანებით.

საბჭოთა პრესა სავსეა „სპეკულიანტების და ჯაშუშების“ გასამართლებით, რომელთა სა სჯელია დახვრეტა, დატუსაღება, ქონების ჩამორთმევა და სხ. უწინ „სპეკულიანტების და ჯაშუშების“ მაგიერ ისჯებოდნენ „ხალხის მტრები და მავნებლები“. რა შეიცვალა არსებითად? არაფერი. სტალინის დროს ხდებოდა „დამნაშავეთა“ გადასახლება, დღეს მას უწოდებენ „გადაყვანას“. ხალხი ისჯება უბრალო, უდანაშაულო ოხუნჯობისათვის, ანეგდოტებისათვის... ისჯებიან მხოლოდ იმისთვის, რომ „ქართული ენის სიწმინდის დაცვა“ სცადეს. ხრუშჩოვი სწორედ ამას უწოდებს დესტალინიზაციას და განა ეს უნდა დავისახოთ მიზნათ, რომ ამ პროცესში „გავნთავისუფლდებით“?

პრინციპების და იდეების აღრევამ თავის კულმინაციურ წერტილს მიაღწია. ომით დაშინებული „ქუჩის ადამიანი“ მზად არის ყველაფერი მიიღოს, ოღონდ ახალი ომის მრისხანება თავიდან აიცდინოს. შიშმა შთანთქა გონება, საღი აზროვნება და პრინციპიულობა. ამაში იმარხება საუკუნოებით შექმნილი და მრავალ თაობათა ოფლით და სისხლით მოპოვებული თავისუფლებისა და ჰუმანიზმის მაღალი იდეები. ამით, ცხადია, მოხერხებულად სარგებლობს „პარტულ ინტრიგებში და დემაგოგიაში“ აღზრდილი და დავაჟკაცებული ხრუშჩოვი და ფსიქოლოგიურ თავდასხმასთან ერთად აძლიერებს „ატომური ომის მრისხანების“ პროპაგანდას. დასავლეთის დემოკრატიული ქვეყნებისათვის ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. აქ მოსკოვი თავისი ჯაშუშების, თუ მის მიერ შექმნილი, ან წაქეზებული „ზავისა და მშვიდობიანობის“ ორგანიზაციების საშუალებით ჰქმნის თავის სასარგებლო ატმოსფეროს და ზოგადი თავისუფლების ქადაგებით სპობს და ასამარებს თვით თავისუფლების პრინციპს. შიგნით კი რკინის სალტით შემოსალტა მის მიერ დაპყრობილი ერები და ყველა ერთად და ცალცალკე განიცდიან მსოფლიო ისტორიაში ჯერ არ ნახულ და არ გაგონილ დესპოტიური რეჟიმის მრისხანებას.

ან კი რა აზრი აქვს აქედან ისეთ გადაცემებსა და იმგვარ პროპაგანდას, რომელიც ხრუშჩოვის მოგონილია და მოსკოვის მიერ დაბეჩავებული სბჭოთა მოქალაქე ყოველდღიურად ისმენს ადგილობრივ რადიოში და კითხულობს ადგილობრივ პრესაში?

ჩვენ ვიცით და გვესმის, რომ დასავლეთს „დიდი დრო სჭირდება“, რათა ეს შეიგნოს და შეიმცნოს და აქედან პრაქტიკული დასკვნებიც გააკეთოს, ამიტომ ჩვენი თანამემამულეების მდგომარეობა მეტად რთული და დელიკატურია, ამიტომ მდგომარეობის გასაჯანსაღებლად და იქ მომუშავე ქართველების მუშაობის გასაადვილებლად, საჭიროა მთელი ქართული საზოგადოების გულწრფელი და ენერგიული თანამშრომლობა, რათა ამგვარ უაზრო და მცდარ პროპაგანდას თავი აარიდოს იმ უწყებამ, რომელიც მოწოდებულია რუსული იმპერიალიზმის, ან როგორც მას მცდარათ დასავლეთში უწოდენენ, წითელი იმპერიალიზმის აგრესიის მოსათოკად და ალმოსაფხვრელად.

**ი. მენთეშაშვილი.**

## შეგნებული თუ შეუგნე-ბელი სიგლახე?

საზოგადოებრივი ურთიერთობისათვის არსებობს დაწერილი და დაუწერელი კანონი: ეთიკა და მორალი. ვისაც საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსვლა სურს, უპირველეს ყოვლისა ჟამს უნდა მიაქციოს ყურადღება...

ამ შემთხვევაში ჩვენ მხედველობაში გვაქვს „ჩვენი დროშას“ 39№-ში (გვ. 23) გამოქვეყნებული ნეკროლოგი „ვახტანგ აბაშიძეს ხსოვნას“. სწორედ ეთიკა და მორალი მოითხოვს განსვენებულის ხსოვნა ყალბი პროპაგანდისათვის არ გამოიყენოს ადამიანმა და მისი სახელის ქვეშ ჭორები არ შეთხზას.

აღნიშნულ „ნეკროლოგში“ ვკითხულობთ: „თავისი მამულიშვილური სიტყვა, განსვენებულმა, აქაც სთქვა ამერიკის მიწაზე: ქართულ საზოგადოებას რომ აქვს დღეს საკუთარი სახლი, თავშესაფარი ეს მთლიანად იმ ორგანიზაციას ე. წ. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ამერიკულ საბჭოს ნამოღვაწარია, რომელ ორგანიზაციის ერთი თვალსაჩინო წევრი ვ. აბაშიძეც იყო“

ხოლო ამავე „ნეკროლოგისტმა“ თავის „ტომეულში“ განაცხადა „ქართულმა აზრმა“ ყალბი განცხადება გააკეთა თავის 53-54№-შიო და თან უმატებს „ქართული სახლისათვის შევწირეთ 15 ათასი მწვანე დოლარიო“.

ჯერ ჩვენ დავინტერესდით, თუ რა „შეცოდება“ მიუძღვის „ქართულ აზრს“ და რანაირი სახის „სიყალბე“ განაცხადა? გამოირკვა, რომ „ქართული აზრის“ აღნიშნულ ნომერში მოთავსებულია „წერილი რედაქციის მიმართ“ რომლითაც ქართული სათვისტომოს გამგეობა მადლობას უცხადებს ყველა მათ, ვინც ქართულ სახლს შესწირა ან ავეჯი, ან წიგნები, ან სხვა რამ ნივთები. თუ ეს ცნობა „ყალბია“, მაშინ „კოლხოზის აკადემიის მეცნიერს“ ეკუთნოდა ეთქვა, რომ სათვისტომოს გამგეობამ გააკეთა ყალბი განცხადება და არა „ქართულმა აზრმა“. მაგრამ იმ პირობებში ჩასახულს, აღზრდილს და დავაჟკაცებულს, რომელშიც ეს „კოლხოზელი მოღვაწე“ ჩათესლილა,—მოვლენათა სწორი დაფასება არ მოეთხოვება. ამ „ტომეულში“ შელანძღული და წაბილწულია ერი, ბერი, მღვდელი, მთელი კუთხეები საქართველოსი, მთელი საგვარეულონი და წინაპარ-შთამომავლობები... იკითხავს მკითხველი რათა შვრება? მისი „კეთილისმსურველები“ ამბობენ ცუდკაცობით მოსდისო, ხოლო თუ ამის ახსნით უფრო სერიოზულად დაინტერესდება ვინმე, გადახედოს რუსულ-კომუნისტური იმპერიალიზმის ქართულ ენაზე გამომავალ საპროპაგანდო ორგანო „სამშობლოს ხმას“ და იქ ამოიკითხავს ამ საქციელის განმარტებას...

ამ „ტომეულში“ მარტო მე ვარ შექებული, (იქამც იყოს მისი პირიდან შექება...) აწ განსვენებულ ი. გოლდმანის გარდაცვალებასთან დაკავშირებით. მე იმ შემთხვევაში ჩემი **ადამიანური** მოვალეობა მოვიხადე, მაგრამ რა იცის ამ მოლაყბე „ტომეულისტმა“, თუ ვინ, როგორ მოიქცა? მისთვის ხომ არ არსებობს არც ეროვნული ზეიმის და არც გლოვის დღეები და მას ყოველმხრივ ხელს უშლის და ებრძვის? სხვამ გადასცა? იქნება გადააჭარბა გადამცემმა ჩემი საქციელი? ან რატომ არ აღნიშნა, რომ მას გადასცეს და მკითხველს მოუთხრობს, როგორც ნახულს? ასეთია მის მიერ „ტომეულში“ მოთხრობილი ყოველი ფაქტი? ან რა ენაზე აწარმოებდა უკრაინელ „მაღალ ინტელექტუალურ მასწავლებელ ქალთან იმ გრძელ „დიალოგებს“? მან ხომ არც ერთი ენა არ იცის და ამათში ყველაზე ცუდათ რუსული, უკრაინული კი სრულებით არა. რა რჯის, რა აწუხებს და ამ საზოგადოებრივად დამნაშაურ მოთხრობებს რათა თხზავს?

ზოგი ამტკიცებს მას ეს შეუგნებლად მოსდისო. ამ შემთხვევაში, აღარ ყოფილა „მეცნიერ აკადემიკოსი“ და ყველას ჭკუას არ უნდა ასწავლიდეს! მაშინ ყოველი ქართველის და უპირველეს ყოვლისა იმათი, რომლებიც მას „რწმუნებასა და წარმომადგენლბას“ ავალებენ მათი მოვალეობაა, გონებაში ჩააგდონ და მიახვედრონ, თუ რა სამსახურს უწევს საქართველოს მტრებს ამ უკადრისი და ყოველი ადამიანისათვის დამამდაბლებელი ჭორების თხზვით

რაც შეეხება ქართული სახლის შეძენას, ამას თავისი განსაკუთრებული წარსული აქვს და მნიშვნელობაც. ამიტომ იძულებული ვართ განსვენებულ ვ. აბაშიძეს სახელთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ სიყალბეს მცირე განმარტება მივცეთ.

ამერიკაში მცხოვრებ ქართველობას ომის წინ შეუძენიათ სახლი. დროთა მსვლელობაში იმავე ქართველობას მისი გაყიდვა გადაუწყვეტიათ და როცა ამ წერილის ავტორი და საზოგადოთ ომის შემდეგ ახალი ლტოლვილები აქ ჩამოვიდნენ და სათვისტომო გაიზარდა, ის სახლი აღარ არსებობდა. სამაგიეროთ სათვისტომოს გამგეობას შემონახული ჰქონდა ძველ სახლში აღებული ფული. დიდ ხანს იყო მსჯელობა და ცდა, რათა ქართველობას კვლავ საკუთარი სახლი შეეძინათ.

1957 წ. იანვრის 20-ს ინჟ. ვ. კობახიძეს თავმჯდომარეობით შესდგა სათვისტომოს საერთო კრება. ინჟ. ვ. კობახიძემ კრებას წარუდგინა წინადადება, რათა შემონახული ფული გამოეყენებინათ და სახლი თუ არა მიწა მაინც შეეძინათ. კრებამ მიიღო თავისი თავმჯდომარის წინადადება და მიწა იყიდეს „კოლეჯ პოინტში“. თვით ყიდვის მთელი პრაქტიკული საქმიანობა აწარმოა თავმჯდომარემ და ბ-ნ ა. შვილმა, რომელიც იმ დროს სათვისტომოს მოლარის მოვალეობას ასრულებდა. უკეთესი მომავლის იმედით ეს იყო ერთი ნაბიჯი წინ. ამავე დროს ინჟ. გ. დონაურის თავმჯდომარეობით არჩეულ იქმნა „ქართული კერის კომისია“, რომელსაც დაეკისრა „შემოწირულებების“ მოგროვება თანამემამულეთა შორის.

უფრო გვიან, დრ. ო. ზალდასტანიშვილის თავმჯდომარეობის დროს კრებას წარუდგინეს წინადადება, რომ „გაიყიდოს კოლეჯ პოინტში“ შეძენილი მიწა და თვით ქალაქში (რადგან კოლეჯ პოინტი ნიუ-იორკს გარე უბანია) იყიდონ სახლი“. სათანადო თანხის შეგროვების შემდეგ სათვისტომომ შეიყიდა „სპეციალური კომისიის“ მიერ აღმოჩენილი სახლი, რომელშიაც აქტიური მონაწილეობა მიიღო ბ-ნ ი. გაჟონიამ.

მწუხარებით უნდა აღვნიშნოთ, რომ არც განსვენებულ ვ. აბაშიძეს, არც მის ნეკროლოგისტ და არც იმ „ორგანიზაციას“, რომელსაც იგი ეკუთნოდა, არავითარი დახმარება არ გაუწევიათ და არც ერთი დოლარიც კი არ შეუწირავთ.

„ჩვენი დროშას“ ნეკროლოგისტი, საზოგადოთ არის ცნობილი ფაქტების შეთხზვა-დამახინჯებით და ამისთანა საზოგადოებრივად მავნებელთან კამათი ღმერთმა გვაშოროს. ამ განმარტებას ვწერთ: ერთი ჭეშმარიტების აღსადგენად, მეორე,—„ჩვენი დროშის“ რედაქციის საყურადღებოდ, რადგან მათი რედაქციისთვის მარტო ის ფაქტიც საკმარისი იყო, რომ თავის კორესპონდენტში დაეჭვებულიყო, როცა მათ გაიგეს თუ როგორ გააყალბა მან კოლუმბიის უნივერსიტეტში ქართული ენის კურსების საკითხი და რამდენი ნერვიულობა დასჭირდა ბ-ნ გ. ნაკაშიძეს, რათა მისგან მიწვდილი ცნობა, ან არ დაებეჭდათ, ან შეესწორებინათ.

ეს იმასაც ღაღადებს თუ „ჩვენი დროშის“ კორესპონდენტი რამდენათ მოწყვეტილია ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებას, რომ ქართველებისათვის ამდენად სანუკვარი მოვლენა, როგორიც კოლუმბიის უნივერსიტეტში ქართული ენის კურსის გახსნაა, რამოდენიმე წლით დაგვიანებით გაიგო და სრულიად განუკითხავად და განუსჯელად საჩქაროდ აფრინა ცნობა, „ჩვენი დროშის“ ფურცლებზე გამოსაფენად.

ჩვენ უმორჩილესი თხოვნით მივმართავთ თანამოძმე ჟურნალის რედაქციას, რათა მან მომავალში კარგად შეამოწმოს ამ საზოგადოებრივად მავნებელი კორესპონდენტის ინფორმაციები და თავიდან აგვაცდინოს ამგვარ საჩოთირო საკითხებზე წერა. მით უმეტეს, როგორც „ჩვენი დროშა“, ისე „ქართული აზრი“ მეტად მძიმე პირობებში გამოდის და მათ უფრო დიდი მიზანი აქვთ დასახული, ვიდრე უპასუხისმგებლო ლაზღანდარებთან პაექრობაა.

**ვ. სანგულია.**

**
*

საბჭოთა რუსეთის ეკონომიურმა კრიზისმა უმაღლეს წერტილს მიაღწია. ნიკიტა ტყავიდან ძვრება, რათა დასავლეთმა მას უშველოს და გაჭირვებიდან გამოიყვანოს. ის თხოულობს ხორბალს, ნისათ, მიწის ქიმიურ განოყიერების ნივთიერებას, ნისიათ, შიგნით რუსეთში დასავლეთის კაპიტალით ქიმიური მრეწველობის შექმნას, ნისიათ. ერთი სიტყვით თხოულობს ყველაფერს და არ იძლევა არაფერს.

ამ შემთხვევის გამო შ. შ. კონგრესმენმა მ. ა ფეიგანმა განაცხადა, რომ რუსეთი ჯერ კიდევ შორს არის „გალიბერალებისაგან, დემოკრატიულობის და თავისუფლების პრინციპისაგან“, მას ჯერ კიდევ დაპყრობილი ჰყავს არა რუსი ერები და ბრძანებლობს მათზე. რუსეთზე ჯერ კიდევ ითვლება ათი მილიარდი ვალი, მეორე მსოფლიო ომის დროს აღებული, კონგრესმენი ფეიგანი იძლევა წინადადებას, რომ ამ ვალში რუსეთს მიეცეს ერთი მილიარდი, ყოველ მის მიერ დაპყრობილ ერში, სადაც ის გაერთიანებული ერების ზედამხვედველობით მოახდენს თავისუფალ არჩევნებს, რათა ყოველმა ერმა თვითონ გადაწყვიტოს თუ რომელ პოლიტიკურ-ეკონომიური სისტემის მომხრეა.

„ამ გზით რუსეთი თავს გაინთავისუფლებს ვალის დიდი ნაწილისაგან“-ო, აცხადებს ფეიგანი და „თუ დაპყრობილი ერები მოისურვებენ რუსულ იმპერიაში ყოფნას, ჩვენ მომავალშიც მზად ვიქნებით დავეხმაროთ ხრუშჩოვს“-ო.

### ახალი ათეისტური სასახლე.

**მოსკოვი, მარტის 4-ს.**

ქალაქ ლენინგრადს მალე ექნება ახალი ათეისტური „ნათლობის სასახლე“, რომელიც შესცვლის ნათლობის ეკლესიურ ცერემონიას, რასაც საბჭოთა მშობლები დიდათ აფასებენ და მისკენ მიილტვიანო აცხადებს „ტასსი“.

ამავე გადმოცემით ვგებულობთ, რომ ოთხი წლის წინ ამგვარივე სასახლე გახსნილა ქორწინებისათვის.

### „სამოთხეს გაექცნენ“.

ლენინგრადის უნივერსიტეტის ფილოსოფიის პროფესორი იური ასეიევი გასული წლის სექტემბრიდან იმყოფებოდა შ. შტატებში, ჰარვარდში სოციოლოგიის კურსის მოსასმენად

დეკემბრის 29-ს ასეიევმა სთხოვა შ. შტატებს პოლიტიკური თავშესაფარი, რაც დაუყონებლივ ეცნობა საბჭოთა წარმომადგენლობას.

**ჟენევა, თებერვლის 11-ს.**

განიარაღების კონფერენციაზე რუსული დელეგაციის წევრი, საბჭოთა საიდუმლო პოლიციის მაღალი მოხელე იური ნოსენკო გადუდგა თავის ბატონებს და პოლიტიკური თავშესაფარი სთხოვა შეერთებულ შტატებს.

სათანადო უწყებების ცნობით ნოსენკოს შეუძლიან მისცეს შეერთებულ შტატებს მაღალ ხარისხოვანი ინფორმაცია რუსეთის ატომური შეიარაღების შესახებ.

ღრმა მწუხარებით ვაუწყებთ ქართულ საზოგადოებას, რომ გასული იანვრის 9-ს,საფრანგეთში გარდაიცვალა

**ბაბალე მრელაშვილი.**

„ქართული აზრის“ რედაქცია თანაგრძნობას და სამძიმარს უცხადებს მის ნათესავებს და მეგობრებს.

**„ამერიკულ-უკრაინული პრესა“ ღებულობს ყოველგვარ შეკვეთებს ქართულ ენაზედაც.**
**114 St. Mark,s Place New York 9, N. Y.**

**საგაზეთო მასალები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით:**

*Mr. G. Djakeli*
*561 W. 141 St., N. Y. C.*

**ამავე მისამართით უნდა გამოიგზავნოს შემოწირულებები.**

*EDITOR IN CHIEF: D. Sindikeli.*
*EDITORIAL BOARD: Dr. G. Gabliani, G. Lolua, G. Zaldastani, W. Ssangulia.*